



# ორჭუსის კონვენცია და ჩვენი გარემოსდაცვითი უფლებები



სახელმძღვანელო



# ორჭუსის კონვენცია და ჩვენი გარემოსდაცვითი უფლებები

სახელმძღვანელო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გარემოსდაცვითი უფლებების წარმოშობა

- რა არის ორჭუსის კონვენცია
- როგორ მუშაობს კონვენცია
- გარემოსდაცვითი უფლებები ორჭუსის კონვენციის მიხედვით

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება

მონაწილეობის უფლება

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება

გარემოსდაცვითი უფლებები 21-ე საუკუნეში

დანართები

1. ორჭუსის კონვენციის ქართული ტექსტი
2. ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურის შესახებ
3. როგორ მივმართოთ სასამართლოს ჩვენი გარემოსდაცვითი უფლებების დასაცავად

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას, მოსახლეობის ფართო მასებს გააცნოს ორჭუსის კონვენცია და მიაწოდოს ინფორმაცია იმ შესაძლებლობებისა და მექანიზმების შესახებ, რასაც კონვენცია სთავაზობს გარემოს მდგომარეობით დაინტერესებულ თითოეულ მოქალაქესა თუ მოქალაქეთა ჯგუფს.

სარედაქციო კოლეგია  
გიორგი ბახტურიძე  
გიორგი მალრაძე  
ნანა ფეიქრიშვილი

მხატვარი  
ილია ქრელაშვილი

დიზაინი  
ირაკლი გულედანი

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, თბილისი  
ბაქრაძის ქ. 6 / ვანის ქ. 4  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 347750

ელ-ფოსტა: [gida.georgia@gmail.com](mailto:gida.georgia@gmail.com)  
[www.gida.org.ge](http://www.gida.org.ge)

მთავრობამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ჩამდინარე წყლის გამწმენდ ქარხანაში გაწმენდის შემდეგ მორჩენილი ლამის განთავსებას გაუქმებულ სპილენძის მალაროში. გარემოს დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ ეს ნარჩენი არ არის სასიფათო და შესაძლებელია მისი განთავსება მალაროში. თუმცა, ექსპერტები და სხვა ორგანიზაციები მიანიშნებენ, რომ ჩამდინარე წყლები შეიცავს ინდუსტრიულ ნარჩენებს სხვადასხვა ქარხნებიდან, რის გამოც შესაძლოა ეს ლამი სასიფათო იყოს გარემოსათვის.

მალაროს მიმდებარე სოფელში მცხოვრებმა მოსახლეობამ ჩამოაყალიბა კომიტეტი, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ გეგმას. მათ მიმართეს სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ სასამართლომ იგნორირება გაუკეთა შესაბამის კანონებს და იმ ფაქტს, რომ ინდუსტრიული ნარჩენები სასიფათო იქნება მათი საცხოვრებელი გარემოსათვის. თუმცა, საქმის შესახებ სრულ სამეცნიერო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არქონისა და შემდგომი სამართლებრივი ინსტრუმენტების არარსებობის გამო მათი საქმე შეჩერდა.

ადვილი წარმოსადგენია, რომ არასრულფასოვანი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო სისტემის პირობებში სწორედ ასეთი იქნებოდა კამპანიის დასასრული. თუმცა დღეს უკვე სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნის მთავრობა აღიარებს ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და იმას, რომ ესა თუ ის ღონისძიება, რომელიც შეიძლება ზემოქმედებას ახდენდეს გარემოზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იქნება გარემოსდაცვითი ინფორმაცია, თუ დაინტერესებულ მოქალაქეს შეეძლება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში, გარანტირებული იქნება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

დღეისათვის არსებული გარემოსდაცვითი უფლებები ბოლო რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე ყალიბდებოდა. მას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული კანონები თუ საერთაშორისო დონეზე აღიარებული ხელშეკრულებები და სახელმძღვანელო პრინციპები. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საერთაშორისო დეკლარაციებსა და რეზოლუციებში სულ უფრო აქტიურად დაიწყო გარემოსდაცვითი პრობლემების დაკავშირება ადამიანის უფლებების დაცვასთან. 1992 წელს, გაეროს მიერ ორგანიზებულ „დედამიწის სამიტზე“ სხვადასხვა სახელმწიფოთა სამთავრობო დელეგაციებმა კონსენსუსის წესით მიიღეს ისტორიული რიო-ს დეკლარაცია, რომლის მე-10 პრინციპი ხაზს უსვამს, რომ „გარემოსდაცვითი საკითხების უფრო ეფექტიანი მართვა ყველა დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით ხდება“.

ცოტა მოგვიანებით, 1998 წელს, ქ. ორჰუსში (დანია) მთავრობებმა გადადგეს კიდევ ერთი ნაბიჯი გარემოსდაცვითი დემოკრატიის ხელშეწყობისკენ და ხელი მოაწერეს კონვენციას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია). ორჰუსის კონვენცია ძალაში შევიდა 2001 წელს და 2010 წლის თებერვლის მდგომარეობით მისი მხარე უკვე 44 სახელმწიფოა (იხ. სია გვ. 4).

გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) ეგიდით შემუშავებული ორჰუსის კონვენცია ქმნის ერთიან საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს და უზრუნველყოფს მოსახლეობის გარემოსდაცვითი ინტერესების დაცვას.

**ორპუსის კონვენციის მხარეები**  
 2009 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით  
 წყარო: <http://www.unece.org/env/pp/ratification.htm>

ავსტრია	მოლდოვა
აზერბაიჯანი	მონტენეგრო
ალბანეთი	ნორვეგია
ბელარუსი	პოლონეთი
ბელგია	პორტუგალია
ბოსნია და ჰერცეგოვინა	რუმინეთი
ბულგარეთი	საბერძნეთი
გერმანია	საფრანგეთი
დანია	საქართველო
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოები	სერბეთი
ევროპის თანასაზოგადოება	სლოვაკეთი
ესპანეთი	სლოვენია
ესტონეთი	სომხეთი
თურქმენეთი	ტაჯიკეთი
იტალია	უკრაინა
კვიპროსი	უნგრეთი
ლატვია	ფინეთი
ლიტვა	ყაზახეთი
ლუქსემბურგი	ყირგიზეთი
მაკედონია	შვედეთი
მალტა	ჩეხეთის რესპუბლიკა
	ხორვატია
	პოლანდია

**რა არის ორპუსის კონვენცია**

ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის სრული დასახელება არის: **კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.**

- ეს არის შეთანხმება, რომლის მხარეები ვალდებულია კისრულობენ:
- საჯარო გახადონ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია
  - საშუალება მისცენ საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში
  - უფლება მისცენ საზოგადოების წარმომადგენლებს მიმართონ სასამართლოს თუ მათი კონვენციით განსაზღვრული უფლებები დაირღვა.



ორჭუსის კონვენცია არის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის შემუშავების პროცესში ფართოდ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციების კოალიცია (ევროპული ეკოფორუმი) მონაწილეობდა კონვენციის პროექტის შემუშავებასა და ყველა განხილვაში. კონვენციის მნიშვნელობის დემონსტრირების მიზნით, კოალიციამ ასევე ორგანიზება გაუკეთა მრავალ ღონისძიებას სხვადასხვა ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების მონაწილეობით.

## როგორ მუშაობს კონვენცია

ორჭუსის კონვენცია აღიარებს თითოეული მოქალაქის უფლებას ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში. იგი ასევე აღიარებს მათ მოვალეობას დაიცვან ეს გარემო. იგი ცდილობს მისაღები და ადეკვატური გარემო პირობებით უზრუნველყოს თითოეული მოქალაქე, როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობები.

ამ ამოცანის შესასრულებლად კონვენცია წვერი სახელმწიფოების მთავრობებისაგან მოითხოვს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ ორჭუსის კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობაზე უფრო მაღლა დგას და მას გააჩნია უპირატესი ძალა.

კონვენცია არის იურიდიულად სავალდებულო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მას შეუერთდნენ. „მხარეთა შეხვედრები“ იმართება ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც, რომელზეც ხდება მიღწეული შედეგების შეჯამება და ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. წვერი სახელმწიფოები ასევე წარადგენენ შესრულების ანგარიშებს. საყურადღებოა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ალტერნატიული ანგარიშების წარდგენა.

კონვენციის მიერ გარანტირებული გარემოსდაცვითი უფლებები აღიარებული და დაცული უნდა იყოს „საჯარო მოხელეების“ მიერ. ეს მოიცავს ყველა სექტორისა თუ დონის (როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ) სამთავრობო სტრუქტურებს; საჯარო და კერძო სტრუქტურებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივი ადმინისტრირების ფუნქციებს ან სთავაზობენ მომსახურებას, როგორცაა ბუნებრივი აირით, ელექტროენერჯით, სასმელი ან საირიგაციო წყლით უზრუნველყოფა და ა.შ.

## გარემოსდაცვითი უფლებები ორჭუსის კონვენციის მიხედვით

ორჭუსის კონვენცია წინგადადგმული ნაბიჯია როგორც გარემოს დაცვის, ასევე დემოკრატიის თვალსაზრისით. იგი უზრუნველყოფს საზოგადოების უფლების დაცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფისა და აღსრულების პროცესში.

კონვენცია საუცხოო შესაძლებლობას ქმნის ინფორმირებული და თანამონაწილეობრივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ერთის მხრივ, იგი შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მოქალაქეებსა და მათ გაერთიანებებს მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებლობას აძლევს სამთავრობო სტრუქტურებს გადაწყვეტილებები მიიღონ საზოგადოებაში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ამ გზით, კონვენცია ხელს უწყობს სოციალურ სტაბილურობას, რადგან თითოეულ მოქალაქეს თავი დემოკრატიული პროცესების მონაწილედ მიაჩნია.

ორჭუსის კონვენცია ისევე მნიშვნელოვანია სამთავრობო სტრუქტურებისათვის, როგორც მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. კანონებისა და რეგულაციების შემუშავების პროცესში მთავრობებს საზოგადოების აქტიური მონაწილეობა ესაჭიროებათ. ისინი ასევე მუდმივად უნდა გრძნობდნენ საზოგადოების მხრიდან აქტიურ „ზედამხედველობას“ ამ კანონების სრულფასოვანი აღსრულებისათვის.

დემოკრატიის პირობებში მოსახლეობას აქვს ინფორმაციის, და მათ შორის გარემოს-დაცვითი ინფორმაციის, ხელმისაწვდომობის უფლება. ხელისუფლებას კი თავის მხრივ, აკისრია ვალდებულება გაუმარტივოს მოქალაქეებს მათთვის საინტერესო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცესი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს ამ ფუნდამენტური დემოკრატიული უფლების სრულად რეალიზება, ორჰუსის კონვენციამ შეიმუშავა განსაკუთრებული უფლებები ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ხშირად იბადება შემდეგი შეკითხვები:

**რას ნიშნავს „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“?**

კონვენციის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ განმარტება ძალიან ფართო და მრავლისმომცველია. იგი მოიცავს ინფორმაციას გარემოს ნებისმიერი ელემენტის, როგორცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ბიომრავალფეროვნება (მათ შორის გენმოდიფიცირებული ორგანიზმები), შესახებ. იგი ასევე მოიცავს ინფორმაციას ნებისმიერი აქტივობის, პროგრამისა თუ ღონისძიების შესახებ, რაც გავლენას ახდენს ამ ელემენტებზე, ადამიანის ჯანმრთელობასა თუ უსაფრთხოებაზე.

ეს ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი ფორმით: ბეჭდვითი, ელექტრონული, ვიზუალური, აუდიო თუ სხვა ფორმით. საზოგადოებას უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია მისთვის მისაღები იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს ინფორმაცია არსებობს.

**რა სახის ინფორმაცია შეიძლება მოვითხოვოთ?**

ნებისმიერ პირს აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერი გარემოსდაცვითი ინფორმაცია ნებისმიერი სამთავრობო სტრუქტურიდან თუ კერძო ორგანიზაციიდან, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივ მომსახურებას. ინფორმაციის მომთხოვნი პირი შეიძლება არ იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე. უფრო მეტიც, ინფორმაციის მომთხოვნ პირს არ ევალება დაამტკიცოს მისი დაინტერესება ან განმარტოს ინფორმაციის მოთხოვნის მიზეზი. არასამთავრობო ორგანიზაციებს ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვთ იმის მიუხედავად თუ სად არიან ისინი რეგისტრირებული.

**რა სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს სამთავრობო სტრუქტურებმა მოთხოვნის პასუხად?**

საჯარო დაწესებულებებმა შესაძლებლობის ფარგლებში ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ იმ ფორმით, როგორც იგი იქნება მოთხოვნილი. ასევე თან უნდა ერთვოდეს ყველა შესაბამისი დოკუმენტის ასლი, თუ ამას ითხოვენ. შესაძლებელია ამისათვის საჯარო დაწესებულებებმა მოითხოვონ ასლის გადაღების საფასური, თუმცა ეს არ უნდა აღემატებოდეს „გონივრული გადასახადის“ ფარგლებს.

საჯარო სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება რაც შეიძლება მოკლე ვადებში, ძირითადად მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში (საქართველოში 10 დღის ვადაში). თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის მოცულობითი ან კომპლექსური, ამ შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებას შეიძლება მოანდომონ კიდევ ერთი თვე. თუმცა, ამის შესახებ უნდა აცნობონ ინფორმაციის მომთხოვნ პირსა თუ ორგანიზაციას. ინფორმაციის მომთხოვნი სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაშიც კი.

**აქვთ თუ არა საჯარო სტრუქტურებს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლება?**

ძირითადად, საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება გაგებულ უნდა იყოს მაქსიმალურად ფართოდ. თუმცა, კონვენცია გარკვეულ გამონაკლისებსაც განიხილავს. საჯარო სტრუქტურებს შეუძლიათ უარი თქვან ინფორმაციის გახსნაზე, თუ ეს ხელყოფს:

- საერთაშორისო ურთიერთობებს,



- ეროვნულ თავდაცვას,
- საზოგადოებრივ უსაფრთხოებას,
- სამართალწარმოებას,
- კომერციულ საიდუმლოებას ან პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას და ა.შ.

უარი შეიძლება ეთქვას ასევე „ძალიან ზოგად და ფაქტიურად უსაფუძვლო“ მოთხოვნას. უარის თქმის პირობები დეტალურად არის განსაზღვრული კონვენციის მიერ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამ მიზეზების არსებობა არ არის საკმარისი პირობა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისათვის! ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებამ უნდა შეაფასოს, ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესი ხომ არ გადაწონის მისი გაუხსნელობით დაცულ ინტერესებს.

თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი ითქვა, ინფორმაციის მომთხოვნე პირსა თუ ორგანიზაციას ამის შესახებ უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. ვადის გაგრძელება ორ თვემდე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. წერილში დასაბუთებული უნდა იყოს უარის მიზეზი. ეს გადაწყვეტილება შესაძლებელია შემდგომ გასაჩივრდეს შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოშიც კი.

### **რა ხდება, თუ საჯარო სტრუქტურებს არ გააჩნიათ ინფორმაცია?**

მათ უნდა გადაამისამართონ ინფორმაციის მომთხოვნე პირი თუ ორგანიზაცია იმ საჯარო დაწესებულებისაკენ, რომელსაც სავარაუდოდ უნდა გააჩნდეს ეს ინფორმაცია. ან შესაძლოა მათ თავად გადაუგზავნონ მოთხოვნა ამ დაწესებულებას და ამის შესახებ ასევე აცნობონ ინფორმაციის მომთხოვნე პირსა თუ ორგანიზაციას.

### **ვევლება თუ არა სათანადო საჯარო დაწესებულებას ფლობდეს ინფორმაციას?**

ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეაგროვოს და განაახლოს მისი ფუნქციის შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაცია. ისინი ასევე ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის, უპირატესად ელექტრონული მონაცემთა ბაზების საშუალებით. საზოგადოება ასევე ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რა სახის გარემოსდაცვით ინფორმაციას ფლობს ცალკეული საჯარო დაწესებულება და როგორ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მათგან.

ორჰუსის კონვენციის თანახმად, სამთავრობო სტრუქტურები ასევე ვალდებული არიან ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ მაინც უზრუნველყონ „გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის“ მომზადება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას როგორც გარემოს მდგომარეობის, ასევე გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიში ძირითადად მზადდება გარემოს მდგომარეობის შესახებ მთელი საზოგადოების ინფორმირებისათვის. შესაბამისად, მასში არ არის დეტალური მონაცემები ცალკეული ადგილობრივი ცხელი წერტილებისა თუ დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. იგი ქვეყნის გარემოსდაცვითი პრობლემების განზოგადებულ სურათს იძლევა და წარმოგვიდგენს ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებს.

### **ითვალისწინებს თუ არა კონვენცია დამაბინძურებელ ნივთიერებათა შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოებას?**

კონვენცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციას დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარემოში ემისიების შესახებ და მიიჩნევს, რომ ეს ინფორმაცია არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გასაიდუმლოებული.

გარდა იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, ემისია არის გარკვეული ნივთიერებებისა თუ ენერგიის კერძო ტერიტორიიდან თუ საწარმოდან გადასვლა ე.წ. საერთო მოხმარების სფეროში – ჰაერში, წყალსა თუ ნიადაგში. იგი ყველას საერთო გარემოს აზიანებს და საბოლოო ჯამში მის გასაიდუმლოებას არც აქვს აზრი, ვინაიდან სათანადო მოწყობილობების საშუალებით ეს ემისიები ყოველთვის შეიძლება გაიზომოს საწარმოს კედლებს გარეთ, ანუ საერთო ტერიტორიაზე.



გარემოში ემისიად კონვენცია მიიჩნევს დამაბინძურებელი ნივთიერებების, ნარჩენებისა თუ ენერჯის (ხმაური, რადიაცია) გაშვებას გარემოს სამივე ელემენტში (ჰაერი, მიწა, წყალი). დამაბინძურებლების ემისიის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე პროგრესულ და საინტერესო ფორმას წარმოადგენს ე.წ. „დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაშვებისა და გადატანის რეესტრების“ (დნგგრ) წარმოება და მათი ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის.

დნგგრ არის მთელი რიგი ბუნებრივი რესურსებისა და პროდუქტების მოხმარების, ასევე გარემოში დამაბინძურებელთა ემისიების, ნარჩენების გადატანის და განთავსების შესახებ ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა. ორჰუსის კონვენცია ითხოვს ქვეყნებისაგან თანდათანობით და შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ეროვნული დნგგრ-ის შესამუშავებლად.

### რა სახის ინფორმაცია უნდა გაავრცელონ საჯარო სტრუქტურებმა საგანგაშო სიტუაციებში?

ნებისმიერი სახის „საგანგაშო სიტუაციის“ შემთხვევაში, იქნება ეს შესაძლო ბირთვული კატასტროფის საფრთხე თუ ჰაერის განსაკუთრებით მაღალი დაბინძურების დღე, საჯარო სტრუქტურებმა დაუყოვნებლივ უნდა გაავრცელონ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რაც დაეხმარება მოსახლეობას შესაძლო საფრთხეებისაგან თავის დაცვაში. უფრო მეტიც, ქვეყანას არავითარი უფლება არ აქვს დამალოს კატასტროფებთან და ავარიებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ორჰუსის კონვენცია ითხოვს, რომ ყოველთვის, როდესაც ინფორმაცია ადამიანების ჯანმრთელობისა ან გარემოსათვის გარდაუვალ საფრთხეს ეხება, იგი სასწრაფოდ უნდა მიეწოდოს ყველას, ვინც შეიძლება ზემოქმედების ქვეშ მოჰყვეს.

აღსანიშნავია, რომ საკმარისი არ არის ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ მოახლოებული საშიშროების შესახებ. ამან შეიძლება დააზიანოს ადამიანები და პანიკამ მოიცვას საზოგადოება. ამიტომ, კონვენცია მოითხოვს, რომ აუცილებელია მთელი იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს ან შეამციროს მოსალოდნელი საფრთხე ან ზიანი.



## ინფორმაცია არის ძალა - თუ რა თქმა უნდა შაქლაბთ მის მიღებას

ერთ-ერთი პატარა პერიფერიული ქალაქის მაცხოვრებლები ძალიან შეაშფოთა მათ ქალაქში სასმელი წყლის ხარისხის პრობლემამ. რამოდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა სიმსივნის განსაკუთრებული ფორმით. დაირხა ხმები, რომ მათი სიკვდილი შეიძლება დაკავშირებული იყოს ადგილობრივი სახერხიდან ჩამდინარე წყლებთან, რომელიც ხვდება იმ წყალსაცავში, საიდანაც ქალაქი მარაგდება სასმელი წყლით.

მდგომარეობაში გასარკვევად ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩამოაყალიბა საინიციატივო ჯგუფი. პირველ რიგში, მათ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოითხოვეს ინფორმაცია სახერხიდან ჩამდინარე წყლების მონიტორინგის შესახებ, რომელსაც კონტრაქტის მიხედვით რეგულარულად უნდა აწარმოებდეს სახერხის ადმინისტრაცია. მათ ასევე მოითხოვეს სასმელი წყლის მონიტორინგის მონაცემები. გარდა ამისა, მოსახლეობამ ჯანდაცვის სტრუქტურისაგან მოითხოვა ეპიდემიოლოგიური ინფორმაცია იმავე ტიპის სიმსივნეთა შემთხვევების შესახებ.

მიუხედავად რამოდენიმე შეხსენებისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამი თვის განმავლობაში არ უპასუხა მოქალაქეთა მოთხოვნას. საბოლოოდ, მან უპასუხა, რომ საწარმოდან ჩამდინარე წყლების შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური, თუმცა არ განუმარტავს ამის მიზეზი. მოქალაქეთა ჯგუფს უფლება დართეს სამუშაო საათებში მისულიყო საჯარო დაწესებულებაში და გაცნობოდა სასმელი წყლის ინსპექტირების მონაცემებს, თუმცა არ ექნებოდათ ამ დოკუმენტების ასლის გადაღების უფლება, თუნდაც საფასურის გადახდის სანაცვლოდ. ჯანდაცვის სტრუქტურამაც უარით უპასუხა მოქალაქეთა მოთხოვნას და ეს დაასაბუთა იმით, რომ ამ ინფორმაციის გაცემით შეილახებოდა სიმსივნით დაავადებულ პირთა ინტერესები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ითხოვდა ზოგად სტატისტიკას და არა კონკრეტულ პირთა შესახებ ინფორმაციას.

იქედან გამომდინარე, რომ გასაჩივრების სხვა რაიმე შესაძლებლობა აღარ გააჩნდათ, მოქალაქეთა ჯგუფმა მიმართა სასამართლოს და ამ გზით შეეცადა ინფორმაციის მოპოვებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ჯგუფი სპონტანურად იყო შექმნილი ერთი კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად და არ იყო იურიდიულად რეგისტრირებული, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნია სარჩელის შეტანის უფლება. ამასობაში კი ქალაქში კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა სიმსივნის დიაგნოზით...

სწორედ მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა ორჰუსის კონვენცია. მართალია, მთლიანი მაგალითი მოგონილია, მისი ცალკეული ელემენტები რეალურ ისტორიებზეა დაფუძნებული და ნებისმიერ საზოგადოებაში გვხვდება.



დემოკრატია 21-ე საუკუნეში ნიშნავს არა მარტო არჩევნებს და მათ სამართლიანობას. ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოების მოსაზრებები სხვადასხვა პროექტთან, გეგმასთან, საქმიანობასთან თუ მარეგულირებელ აქტებთან დაკავშირებით. ამას ეწოდება „საზოგადოების მონაწილეობა“ ანუ „მონაწილეობრივი დემოკრატია“. ორჰუსის კონვენციას გააჩნია კონკრეტული მექანიზმები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ზოგადად, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის ამაღლებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობას. ნებისმიერ პიროვნებას უნდა მიეცეს უფლება გამოხატოს მისი მოსაზრება თუ შეშფოთება, ხოლო საჯარო მოხელეებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმონ ამ მოსაზრებებს.

### რისთვის არის საჭირო მონაწილეობა?

საზოგადოების მონაწილეობა ორ ძირითად პრინციპს ეყრდნობა:

- ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ჩვენს საცხოვრებელ გარემოზე
- დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ხარისხს.

საზოგადოების მონაწილეობა უკეთესი და მდგრადი გადაწყვეტილებების მიღების საწინდარია. გადაწყვეტილება კარგი მაშინაა, როდესაც იგი უმრავლესობის მოთხოვნებს შეესაბამება და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეფექტიანად მოქმედებს.

კონვენცია აწესებს საზოგადოების მონაწილეობის მინიმალურ სტანდარტებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საჯარო სტრუქტურები შეიმუშავენ ზოგად გეგმებს ან ნებართვას გასცემენ კონკრეტულ პროექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე.

### რა დონით არის უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტულ პროექტსა თუ საქმიანობაზე ნებართვის გაცემამდე?

„დაინტერესებული საზოგადოება“ შეთავაზებული პროექტის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს მის ძალიან ადრეულ სტადიაზე, მანამ სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. მათ უფლება აქვთ ყოველგვარი გადასახადის გარეშე მიიღონ და განიხილონ პროექტის დოკუმენტაცია, მათ შორის პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და ასევე ინფორმაცია შესაძლო ალტერნატივების შესახებ. ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულების, შენიშვნების წარდგენის მეთოდებისა და საზოგადოების მონაწილეობის ვადების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს საჯარო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოების მონაწილეობის შედეგები.

### ვინ არის „დაინტერესებული საზოგადოება“?

კონვენციის მიხედვით „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება, ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

### რა სახის კონკრეტულ პროექტებში არის სავალდებულო საზოგადოების მონაწილეობა?

კონვენციის დანართში მოცემულია იმ საქმიანობის ტიპები, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებების მიღება აუცილებლად უნდა ხდებოდეს საზოგადოების მონაწილეობით. ეს მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა რაიმე ზემოქმედება იქონიოს გარემოზე, როგორცაა ატომური ელექტრო-სადგურის, მეტალურგიული საწარმოს, ქიმიური



წარმოების, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნისა თუ გზის მშენებლობის პროექტები. საზოგადოებას უნდა გააჩნდეს მონაწილეობის უფლება გენმოდირეცირებული ორგანიზმების (გმო) გარემოში განზრახ გამოთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

**უზრუნველყოფილია თუ არა საზოგადოების მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული პროგრამებისა და გეგმების, ასევე საკანონმდებლო აქტების შემუშავების დროს?**

საჯარო სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული პროგრამებისა და გეგმების შემუშავების პროცესში. ეს მოიცავს სამინისტროების (მაგ. ენერჯეტიკის, ტურიზმის, ტრანსპორტის და ა.შ.) მიერ შემუშავებულ პროგრამებსა და გეგმებს, თუ მათ გააჩნიათ ხელშესახები გარემოსდაცვითი ასპექტები.

კონვენცია არ აკონკრეტებს რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს ეს, თუმცა რამოდენიმე ზოგადი წესი აქაც მოქმედებს: საჯარო სტრუქტურებმა უნდა გამოყონ სათანადო დრო საზოგადოების მონაწილეობისათვის და ასევე შექმნან პირობები ადრეული მონაწილეობისათვის. გარდა ამისა, საჯარო სტრუქტურებმა “სათანადო ყურადღება” უნდა დაუთმონ საზოგადოების მონაწილეობის შედეგად გამოკვეთილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და ისე მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. სამთავრობო სტრუქტურებმა ასევე უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა ისეთ კანონთა შემუშავებისა და აღსრულების პროცესში, რომელთაც გარკვეული ზემოქმედება გააჩნიათ გარემოზე.



**მოვუსმინოთ საზოგადოებას - წარმატებული გამოცდილება**

ერთ პატარა სოფელში აღმოჩენილ იქნა სახიფათო ნარჩენების პოლიგონი, სადაც განთავსებული იყო ქლორის შემცველი 62000 კოროზირებული კასრი. მფლობელმა სოფელს შესთავაზა ახალი თანამედროვე ინსინერატორის აშენება მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივი მოსახლეობა დათანხმდა ამ შემოთავაზებას, თუმცა მიმდებარე ქალაქების მოსახლეობა წინააღმდეგი წავიდა. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი პროდუქტები – რაც ემყარება სამკურნალო აბანოებს, ვენახებსა და ფერმებს – დაზარალებულა როდესაც მომხმარებელი გაიგებდა, რომ ეს პროდუქტები წარმოებულ იქნა სახიფათო ნარჩენების ინსინერატორის მახლობლად.

გარემოს დაცვის სამსახურმა გეგმის წარმოდგენისთანავე მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. მან გამოაქვეყნა გეგმის ერთგვერდიანი რეზიუმე, რომელსაც თან ერთვოდა ინსინერატორის ზემოქმედების შეფასება მიმდებარე ქალაქების გარემოზე. ქალაქების მუნიციპალიტეტებმაც თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრეს ეს ინფორმაცია.

გაიმართა საზოგადოებრივი განხილვები და კომენტარები წარმოადგინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სათემო ჯგუფებმა, ეკონომიკურმა და ტურისტულმა საზოგადოებებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა. დაგეგმილი ინსინერატორის მფლობელმა თავის მხრივ დეტალურად უპასუხა გამოთქმულ შეკითხვებს და წარმოადგინა გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ არატექნიკური მიმოხილვა.

გეგმასთან დაკავშირებით გამოთქმული ნეგატიური მოსაზრებებისა და დასკვნების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ დაამტკიცეს პროექტი. პოლიგონზე არსებული ნარჩენების უტილიზაციის მიზნით მოლაპარაკებები განახლდა უკვე არსებულ ინსინერატორთან.

იმისათვის, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებები სრულყოფილად და რეალურად იყოს გარანტირებული, საზოგადოებას უნდა გააჩნდეს სასამართლოს ძალით ამ უფლებების დაცვის მექანიზმებიც. ეს მექანიზმები საზოგადოებას აძლევს საჯარო სტრუქტურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და ორპუნის კონვენციის აღსრულების შესაძლებლობას.

ორპუნის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის გარდა, ადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების მექანიზმებს. კონვენციის თანახმად, საზოგადოებას შეუძლია სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების დარღვევა;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა ზოგადად.

კონვენციის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მისი აზრით მას უსამართლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე ან ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე. კონვენცია ასევე ადგენს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს საჯარო დაწესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება დაირღვა და რომელიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება.

კონვენციის თანახმად, მხარეები ვალდებულია კისრულობენ ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების დარღვევის გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოში, ან სხვა, კანონით დადგენილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში. ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული პროცედურის შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს შესასრულებლად ინფორმაციის მფლობელი საჯარო დაწესებულებისათვის. კონვენცია ადგენს, რომ მართლმსაჯულების პროცედურა არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის უკიდურესად ძვირადღირებული ღონისძიება, პროცედურები უნდა იყოს დროული, ხოლო მის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

### მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის უფლებების უზრუნველყოფით შემოიფარგლება?

კონვენციის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს არა მარტო მაშინ, როცა მისი უფლებები დაირღვა, არამედ მაშინაც, როცა ადგილი აქვს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევას, მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ კანონდარღვევები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დარღვევას მათთვის პირადად არ მიუყენებია რაიმე ზიანი.

### ვის აქვს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება კონვენციის თანახმად?

ნებისმიერ პირს – მათ შორის ფიზიკურ პირს, არასამთავრობო ორგანიზაციას, სამთავრობო სტრუქტურებს, კერძო კომპანიებს – შეუძლია სასამართლოში სარჩელის შეტანა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დასაცავად. მაგალითად, ნებისმიერს, ვინც მოითხოვს გარემოსდაცვითი ინფორმაცია და ვერ მიიღო იგი, შეუძლია მიმართოს სასამართლოს. „დაინტერესებული საზოგადოების“ ნებისმიერ წარმომადგენელს, ან იურიდიულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ მათ უარი ეთქვათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობაზე. და ბოლოს, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევათა გასაჩივრებისათვის აუცილებელი სათანადო ადმინისტრაციული და იურიდიული მექანიზმებით.



## როგორი უნდა იყოს სასამართლოს ხარჯები?

კონვენციის თანახმად, სასამართლოს ხარჯები არ უნდა იყოს „ხელმიუწვდომელი“. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ხელმისაწვდომი სასამართლო. მხარეები ასევე შეთანხმდნენ გაამარტივონ სასამართლოში სარჩელის შეტანისა და საქმის წარმოების პროცედურები.



## სასამართლოში საზოგადოების ინტერესების დასაცავად

2000 წელს მოქალაქემ მოითხოვა ინფორმაცია ჯართის გადამამუშავებელი ქარხნიდან მომდინარე ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების შესახებ. საჯარო სტრუქტურებმა პირველ ეტაპზე უარით უპასუხეს და ეს დაასაბუთეს იმით, რომ მოქალაქეს არ გააჩნდა საწარმოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ამის საპასუხოდ, მოქალაქემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში. სარჩელს მან საფუძვლად დაუდო ის დებულება, რომ ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც მოქმედებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია სასამართლოს ძალით მოითხოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. საყურადღებოა, რომ სასამართლომ ინფორმაციის მფლობელს დაავალა დაესაბუთებინა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება ან საფუძვლიანობა.

მოსარჩელე მხარის მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ იურიდიული პირებისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის, ვინც გამოხატავს საზოგადოებრივ ინტერესს. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ინფორმაცია ეხება კერძო კომპანიას, არ იძლევა მის გაცემაზე უარის თქმის უფლებას. და კიდევ, მნიშვნელობა არ აქვს ვინ დააფინანსა ამ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

სასამართლო განჩინება ჯერ გამოტანილი არ იყო, როდესაც საჯარო სტრუქტურებმა საკუთარი ინიციატივით გამოაქვეყნეს ემისიების შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია. მოგვიანებით, მოპასუხემაც მიაწოდა დანარჩენი ინფორმაცია მოსარჩელეს.

## გარემოსდაცვითი უფლებები 21-ე საუკუნეში

ახლა, როდესაც ორჰუსის კონვენცია უკვე ძალაში შევიდა და სრულად ამოქმედდა, წევრი სახელმწიფოების სამთავრობო სტრუქტურები უფრო მეტ ძალისხმევას მიმართავენ ეროვნული კანონმდებლობების ამოქმედებისაკენ. ეროვნული კანონმდებლობები კიდევ უფრო აღრმავებენ კონვენციის პრინციპებსა და ამოცანებს. ასევე, გარკვეული ძალისხმევაა მიმართული ახალი წევრი სახელმწიფოების შემოერთებისა და გეოგრაფიული არეალის გაფართოებისაკენ.

კონვენციის ეფექტიანობის გაზრდისათვის წევრი სახელმწიფოები აგრძელებენ შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ეს ღონისძიებები მოიცავს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერასა და ეროვნული საჯარო სტრუქტურების გაძლიერებას.

კონვენციის სამდივნო აგრძელებს ასეთი საერთაშორისო და რეგიონალური ინიციატივების მხარდაჭერასა და კოორდინირებას. იგი ორგანიზებას უკეთებს პროცესში ჩართული ძირითადი ორგანიზაციების რეგულარულ შეხვედრებს ინფორმაციის გაზიარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

გარდა ამისა, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სხვა მრავალ მექანიზმსაც სთავაზობს იმისათვის, რომ მათ მოახერხონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

### დანართები

1. ორჰუსის კონვენციის ქართული ტექსტი
2. ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურის შესახებ
3. როგორ მივმართოთ სასამართლოს ჩვენი გარემოსდაცვითი უფლებების დასაცავად

დანართები მომზადებული და მოწოდებულია პროექტის მიერ „ორჰუსის ცენტრი საქართველოში“.

თბილისი, 0114, გულუას ქ. 6  
ტელ.: +995 32 75 24 19  
ფაქსი: +995 32 75 23 90  
ელ-ფოსტა: [info@aarhus.ge](mailto:info@aarhus.ge)  
[www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge)



### დანართი 1.

ორჰუსის კონვენციის ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია მისამართზე:  
[www.aarhus.ge](http://www.aarhus.ge)



## დანართი 2.

ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურის შესახებ

ორჭუსის ცენტრი საქართველოში

14 თებერვალი, 2007

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების  
სამინისტროდან  
საჯარო ინფორმაციის მიღების პროცედურის შესახებ

ორჭუსის კონვენციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა  
და  
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ  
საქართველოს  
კანონის მიხედვით

1. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურში<sup>1</sup>;

2. პირს უფლება აქვს მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა<sup>2</sup>;

3. სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის;<sup>3</sup> ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვისთვის; კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისთვის; დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერისთვის; ინფორმაციის ჩაწერისთვის ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა;<sup>4</sup>

4. სამინისტრო ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას;<sup>5</sup>

5. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, სამინისტრო ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს;<sup>6</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლის მეორე პუნქტი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

<sup>2</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

<sup>3</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 38, საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ, მიხედვით, მუხლი 6, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა.

<sup>5</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40, პუნქტი 1, საჯარო ინფორმაციის გაცემა.

<sup>6</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40, პუნქტი 2, საჯარო ინფორმაციის გაცემა.



6. უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ;<sup>7</sup>

7. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სამინისტრო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას;<sup>8</sup>

8. სამინისტრო უფლებამოსილია არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც

ა) მას არ გააჩნია;

ბ) არის უსაფუძვლო ან ძალზედ ზოგადი;

გ) ინფორმაციული მასალა დასრულების სტადიაშია;

დ) მასალა ეხება სამინისტროს შიდა მიმოწერას;

ე) ინფორმაციის განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, სამართალწარმოებაზე, სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე, პირადი მონაცემების და/ან არქივების კონფიდენციალურობაზე, მესამე მხარის ინტერესებზე და გარემოზე.<sup>9</sup>

9. საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების შემთხვევაში ვალდებული არიან სამინისტროს სალაროში გადაიხადონ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარს;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;

გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;

დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;

ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი – 2,75 ლარს;

ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.<sup>10</sup>

9. სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაცივმა დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდგომ.<sup>11</sup>

<sup>7</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა.

<sup>8</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 42-ე მუხლის მეორე პუნქტი, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა.

<sup>9</sup> ორპუნის კონვენცია მუხლები 4.3. და 4.4.

<sup>10</sup> საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ, მიხედვით, მუხლი 6, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა.

<sup>11</sup> საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ, მიხედვით, მე-8 მუხლის მეორე პუნქტი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი

### დანართი 3.

## როგორ მიემართოს სასამართლოს ჩვენი ეკოლოგიური უფლებების დასაცავად

ორპუსის ცენტრი საქართველოში

თბილისი, 2009

რომელი უფლება ითვლება ეკოლოგიურ უფლებად

1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება
2. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

1. თქვენი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ირღვევა და თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ მაგალითად, თუ

- ბინძურდება ჰაერი, წყალი ან ზოგადად, გარემო;
- თქვენი საცხოვრებელ ან სამუშაო გარემოსთან ახლოს არის ძლიერი ხმაური ან ვიბრაცია<sup>1</sup>.

2. თქვენი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების უფლება ირღვევა და თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ მაგალითად, თუ

- იგნორირებულია თქვენი მოთხოვნა ინფორმაციის მიღებაზე;
- მოთხოვნილ ინფორმაციაზე გაიცა უსაფუძვლო უარი;
- მიწოდებულ იქნა არასათანადო ინფორმაცია;
- არ იქნა გაკეთებული საჯარო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად;
- დაირღვა ინფორმაციის გაცემის ვადები.

3. თქვენი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება ირღვევა და თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ მაგალითად, თუ

- ადმინისტრაციული წარმოების<sup>2</sup> დაწყების შესახებ განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა ისეთ ადგილას და ისეთი ფორმით, რომ საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია;
- განაცხადი გაკეთდა დაგვიანებით, როდესაც გადაწყვეტილების შესაძლო ვარიანტებს შორის არჩევანი უკვე შეზღუდული იყო;
- ხელმიუწვდომელია ნორმატიული აქტის პროექტი;

<sup>1</sup> საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია გარემოს დაცვის ნორმები, რომელთა დაწესების მიზანია დადგინდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ზღვარი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით დაწესებულია:

ა) გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები (მაგ. ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები; ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვაგვარი ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები); ბ) გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები; გ) გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები; დ) ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი; ე) გარემოზე დატვირთვის ნორმები. ამ ნორმების დაღვევის შემთხვევაში აქვს პირს მარლსაჯულებისადმი მიმართვის უფლება და საფუძველი.

<sup>2</sup> ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.



- საზოგადოებას არ მიეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე<sup>3</sup> შენიშვნების გაკეთების საშუალება, საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება...

## გასაჩივრების სტადიები

### 1. გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში<sup>4</sup> (ადმინისტრაციული საჩივარი)

- ყველას აქვს უფლება საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. თუმცა, დავაში, სადაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს სარჩელი, გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი, ანუ ერთჯერადი გასაჩივრების წესი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს განაცხადებს სარჩელის მიღებასა და განხილვაზე.

### ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

- ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც განიხილება ადმინისტრაციული საჩივარი;
- ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენელი პირის ვინაობა და მისამართი;
- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
- გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;
- მოთხოვნა;
- გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა

- ისეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, რომელიც არღვევს უფლებებს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში;
- თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელო-ბის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ერთთვიან ვადაზე მეტი, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ;

<sup>3</sup> ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. იგი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ნორმატიული. ინდივიდუალურია აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მაგალითად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ წარმოადგენს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს. ნორმატიულ-სამართლებრივია აქტი, რომელიც შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, მაგალითად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მისი გაცემის

წესის შესახებ“ მიეკუთვნება სამართლებრივ-ნორმატიულ აქტს.

<sup>4</sup> მაგალითად, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგიონული სამმართველოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.



- აღნიშნულის თაობაზე მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს;
- ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვისა (თუ კანონით ან კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი);
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება 50-ზე მეტ პირს;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებად ითვლება: ა) მისი დაბეჭდვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი არ გააჩნია, მაშინ ისეთ ბეჭდვით საშუალებაში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. ბ) მისი საჯარო გამოქვეყნება;
- გაცნობად ითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თქვენთვის ჩაბარება. გასაჩივრების ვადა აითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობა/გამოქვეყნების შემდეგი დღიდან.

### **კიდევ რა ექვემდებარება გასაჩივრებას**

- გასაჩივრებას ექვემდებარება არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (წერილობითი დოკუმენტი), არამედ ასევე მისი უკანონო ქმედებაც (მოქმედება ან უმოქმედობა). ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც თქვენთვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების ფაქტი.

### **როდის შეიძლება გეთქვათ უარი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა და განხილვაზე**

ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. ამასთანავე, იგი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საჩივრის მიღებაზე, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება<sup>5</sup> იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა<sup>6</sup>;
- ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

<sup>6</sup> ქმედუუნაროდ მიიჩნევა მაგალითად, პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული.

## **ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები**

- არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის;
- ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების ხარჯებს;
- საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუნარობის შემთხვევაში.

## **ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შედეგი**

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა, თუ კანონით ან კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მისი რეგისტრაციის მომენტიდან იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს:

- გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;
- არის პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;
- გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;
- აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას<sup>7</sup>.

## **2. ადმინისტრაციულ საჩივარზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში**

სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის განმავლობაში.

## **სამართალწარმოების სტადიები**

საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, რომლის სრულყოფილობას სასამართლო ამოწმებს 5 დღის განმავლობაში და გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ<sup>8</sup>.

## **სარჩელის შინაარსი**

სარჩელში უნდა აღინიშნოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;
- მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში

<sup>7</sup> საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჩივრის წარდგენა ავტომატურ რეჟიმში იწვევს აქტის მოქმედების შეჩერებას და შემოთ აღწერილი გამონაკლისი შემთხვევები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ ოფიციალურად მიიღებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ან მისი შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ამასთანავე, აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, დამატებით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. აგრეთვე, და

ინტერესებულ მხარესაც ეძლევა უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

<sup>8</sup> მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.



ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები<sup>9</sup>;

- დავის საგანი;
- სარჩელის ფასი<sup>10</sup>;
- კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;
- მოსარჩელის მოთხოვნა;
- სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები<sup>11</sup>;
- სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
- აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესი<sup>12</sup>;
- მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

### სარჩელს უნდა დაერთოს:

- წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;
- სარჩელში მითითებული ყველა მტკიცებულება.

### სარჩელის მიღება

სარჩელის სასამართლოში შეტანისას, თუ სარჩელი ფოსტით არ არის გაგზავნილი, სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს, მის წარმომადგენელს (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

### სარჩელის ფორმალური მხარის შემოწმებისას ყურადღება ექცევა:

- სარჩელის შინაარსისა და მითითებული რეკვიზიტების სიზუსტეს;
- სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ცნობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ;
- ერთვის თუ არა სარჩელს თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;
- თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს, ერთვის თუ არა სარჩელს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- არის თუ არა სარჩელი ხელმოწერილი;

<sup>9</sup> წარმომადგენელი შეიძლება იყოს მაგალითად, ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსარჩელე არაა ვალდებული გამოიყენოს ადვოკატის დახმარება.

<sup>10</sup> დავის საგნის ღირებულება. მატერიალურ დავებზე მოსარჩელე უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს ფასი. არამატერიალურზე, ფასს ძირითადად განსაზღვრავს სასამართლო საქმის განხილვისას, ხოლო მოსარჩელე ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს სასამართლო ბაჟის მინიმალური ოდენობა.

<sup>11</sup> მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, მაგალითად სასამართლომ შეიძლება დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; ან სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზედაც არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს.

<sup>12</sup> აღიარებითი სარჩელი 3 სახისაა: 1.სარჩელი უფლებების არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ; 2. სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ; 3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების შესახებ.



- წარდგენილია თუ არა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხება.

ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება და სარჩელს უკან აბრუნებს, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა<sup>13</sup>. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

### **სარჩელის მიღებაზე უარის თქმა**

მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ:

- სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას<sup>14</sup>;
- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს<sup>15</sup>;
- საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის<sup>16</sup>;
- სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.
- მოსარჩელემ არ შეავსო სასამართლოს მიერ მითითებული სარჩელის ხარვეზი.

### **განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ**

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

### **სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდლების გადახდასთან;
- ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;
- გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
- დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

<sup>13</sup> კერძოა საჩივარი, რომელსაც განიხილავს ზემდგომი სასამართლო და ეხება მოსამართლის განჩინების გასაჩივრებას.

<sup>14</sup> მაგალითად, სარჩელი არ დაექვემდებარება სასამართლო უწყებას, თუ არ არის მოსარჩელის მხიდან გამოყენებული ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი.

<sup>15</sup>

პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს, რაც რეგულდება საქართველოს კანონით „კერძო არბიტრაჟის შესახებ“;

<sup>16</sup> თითოეული საქმე თავისი შინაარსიდან გამომდინარე ექვემდებარება კონკრეტულ სასამართლოს. მაგალითად, ადმინისტრაციული სარჩელები ექვემდებარება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს.

- ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს<sup>17</sup> და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
- ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით<sup>18</sup>.

### სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელი დასაშვებია, თუ:
  - დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
  - მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
  - დაცულია გასაჩივრების ვადები;
  - მიზანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება.
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სარჩელი დასაშვებია, თუ:
  - დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ;
  - სარჩელი ამტკიცებს, რომ უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
  - დაცულია გასაჩივრების ვადები;
  - მიზანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
- ქმედების განხორციელების თაობაზე საჩივარი დასაშვებია, თუ:
  - სარჩელის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისგან თავის შეკავება (რეალაქტი), რაც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას<sup>19</sup>;
  - სარჩელი ამტკიცებს, რომ ქმედება ან უმოქმედობა უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
  - დაცულია გასაჩივრების ვადები<sup>20</sup>.
- ალიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ:
  - სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აქტად აღიარება (შესაბამისად, მოსარჩელის უფლების დარღვევის აღიარება);
  - სარჩელის მიზანია უფლების არსებობა-არარსებობის დადგენა;

<sup>17</sup> აღმჭურველია აქტი, რომელიც დანტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

<sup>18</sup> აქტის მოქმედება შეჩერდება, თუ სასამართლოს ამის შესახებ წარედგინება დასაბუთებული შუამდგომლობა. 4. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

<sup>19</sup> რეალაქტი, დე ფაქტო მოქმედება, ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო ღონისძიება, რომელიც მიმართულია მხოლოდ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ. მაგ. საჯარო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად; საჯარო წლიური მოხსენებები და ა.შ.

<sup>20</sup> ასეთ შემთხვევებში, გასაჩივრების ერთ თვიანი ვადა გამოითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის დღიდან.

- სარჩელის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა;
- არსებობს მოსარჩელის კანონიერი ინტერესი.<sup>21</sup>

### პროცესის ხარჯები

სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს<sup>22</sup>:

- დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;
- კერძო საჩივარზე – 50 ლარი;
- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე – 50 ლარი და სხვა.

### შელაგათები სახელმწიფო ბაჟში

საერთო სასამართლოებში (მათ შორის, საქალაქო სასამართლოში) განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

- ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე-სარჩელეებზე გარემოს დაბინძურებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;
- მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე – არასრულწლოვანისათვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე; და სხვა.

### სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება:

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე-შესაბამისი განცხადებების (საჩივრების), ასევე სასამართლოს მიერ საბუთის ასლის გაცემისას<sup>23</sup>.

**თუ თქვენ არ გაკმაყოფილებთ ის გადაწყვეტილება, რომელსაც გამოიტანს პირველი ინსტანციის სასამართლო თქვენ სარჩელთან დაკავშირებით, უფლება გაქვთ გაასაჩივროთ აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, შემდგომ საკასაციო (უზენაესი სასამართლო) და ბოლოს ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) ევროპულ სასამართლოში.**

### სააპელაციო საჩივარი

- სააპელაციო საჩივრის ვადა შეადგენს 14 დღეს მოსარჩელისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.
- სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლო ამოწმებს საჩივრის დასაშვებობას.

<sup>21</sup> არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ანუ არაფრის დამდგენი, ის ვერ ახდენს იურიდიულ ზემოქმედებას, არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი მდგომარეობა, ამდენად მის მიმართ არ დაიშვება აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელი.

<sup>22</sup> ბაჟის ოდენობა ადმინისტრაციულ დავებში მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 50 000 ლარია.

## საკასაციო საჩივარი

- საკასაციო საჩივრის ვადა შეადგენს 1 თვეს მოსარჩელისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.
- საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში საკასაციო სასამართლო ამოწმებს საჩივრის დასაშვებობას;

## საკასაციო საჩივრის დაშვების წინაპირობები

იმისათვის, რომ საქართველოს უზენესმა სასამართლომ მიიღოს საჩივარი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთს მანძი:

1. საქმე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

## საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

იმისათვის რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილოს სარჩელი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ამოწურული უნდა იყოს ყველა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო განხილვის საშუალება;
- სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.
- სასამართლო არ მიიღებს შემოსულ ინდივიდუალურ საქმეს, თუკი იგი არის ანონიმური, ან არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილული იქნა სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას;
- სასამართლო მიუღებლად გამოაცხადებს ინდივიდუალურ განაცხადს, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად არასაფუძვლიანია ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას;
- სასამართლოს შეიძლება მიემართოს, მხოლოდ იმ უფლების დარღვევის მოტივით, რომელსაც თვითონ კონვენცია ითვალისწინებს;
- სასამართლოს შეიძლება მიემართოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლების ხელყოფა ჩადენილია ევროპის კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, ანუ საქართველოსთვის 1999 წლის შემდეგ.

<sup>23</sup> საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენესი სასამართლო.

## გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები:

1. როგორ გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია საქართველოში. სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის. კიევი, უკრაინა. 2004.
2. Your Right to a Healthy Environment. A simplified guide to the Aarhus Convention on Access to Information, Public Participation in Decision-Making and Access to Justice in Environmental Matters. UNECE. 2006.
3. გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და საზოგადოების უფლებები. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა. 2006.
4. <http://aarhus.ge/index.php?page=166&lang=geo>
5. <http://archive.rec.org/REC/Publications/PPManual/Default.html>
6. <http://archive.rec.org/REC/Programs/PublicParticipation/PublicAwareness/ecca.html>
7. <http://ec.europa.eu/environment/aarhus/index.htm>
8. [http://europa.eu/legislation\\_summaries/environment/general\\_provisions/l28056\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/environment/general_provisions/l28056_en.htm)
9. <http://www.unece.org/env/pp/>



